

**ა(ა) იპ წმინდა ტბელ აბუსეროსძის სასწავლო უნივერსიტეტის
პროფესიული სასწავლო პროგრამების სასწავლო მიზნებისათვის
სჭირო მასალებისა და ნედლეულის შესყიდვის, შენახვის, გამოყენების,
სასწავლო პროცესის ფარგლებში შექმნილი პროდუქტის შენახვის, განკარგვისა
და ნარჩენების უტილიზაციის წესები**

მუხლი 1. ზოგადი დებულებები

1. წინამდებარე წესი განსაზღვრავს ა(ა) იპ წმინდა ტბელ აბუსეროსძის სასწავლო უნივერსიტეტის უმაღლესი და პროფესიული პროგრამების სასწავლო მიზნებისათვის გამოყენებული მასალებისა და ნედლეულის შესყიდვის, შენახვის, გამოყენების, სასწავლო პროცესის ფარგლებში შექმნილი პროდუქტის შენახვის, განკარგვისა და ნარჩენების უტილიზაციის წესებს.
2. ამ წესით გათვალისწინებული მექანიზმების განხორციელებაზე პასუხისმგებელია წინამდებარე წესით განსაზღვრული პასუხისმგებელი პირი/ები, აგრეთვე უნივერსიტეტის ადმინისტრაციის ხელმძღვანელი.

მუხლი 2. სასწავლო მიზნებისათვის გამოყენებული მასალებისა და ნედლეულის შესყიდვის, შენახვისა და გამოყენების წესი

1. პროფესიულ საგანმანათლებლო პროგრამებზე ჩარიცხული პროფესიული სტუდენტების რაოდენობის, პროგრამაში შემავალი მოდულების მასალებისა და ნედლეულის ნაწილის გათვალისწინებით, უნივერსიტეტის შესაბამისი პასუხისმგებელი პირები აწარმოებენ მასალებისა და ნედლეულის შესყიდვას, საჭიროების შემთხვევაში როგორც მოდულის დაწყებამდე, ისე მოდულის მიმდინარეობისას.
2. თუ პროფესიულ საგანმანათლებლო პროგრამებზე პრაქტიკული მეცადინეობა ტარდება პრაქტიკის ობიექტზე, უნივერსიტეტი მასალებისა და ნედლეულის შექმნას იმ მოდულის ფარგლებში აღარ ახორციელებს.
3. მასალებისა და ნედლეულის შექმნისას მხედველობაში უნდა იქნას მიღებული მათი ვარგისიანობის ვადა, მათი გამოყენების მომენტისათვის.
4. მასალებისა და ნედლეულის შენახვა ხორციელდება შენახვის წესების დაცვით.

5. მოდულის დასრულების შემდეგ მოდულის განმახორციელებელი პირისა და შესაბამისი პასუხისმგებელი პირის/ების მიერ ხორციელდება გახარჯული მასალებისა და ნედლეულის შესახებ ანგარიშგება.

6. პროფესიული განათლების მასწავლებლისათვის სასწავლო მიზნებისათვის განკუთვნილი მასალებისა და ნედლეულის გადაცემას ახორციელებს შესაბამისი პასუხისმგებელი პირი, მიღებაჩაბარების აქტით,

მუხლი 3. სასწავლო პროცესის ფარგლებში შექმნილი პროდუქტის შენახვისა და განკარგვის წესი

1. სასწავლო პროცესის ფარგლებში შექმნილი პროდუქტი ინახება დადგენილი სტანდარტების შესაბამისად და სატანადო პირობების დაცვით, რის შემდეგაც ნადგურდება დადგენილი წესით ან რჩება უნივერსიტეტის საგანმანათლებლო მიზნებისათვის.

მუხლი 4. სასწავლო პროცესის ფარგლებში წარმოშობილი ნარჩენების უტილიზაციის წესი

1. სასწავლო მიზნებისათვის ორგანიზებულ ტექნოლოგიურ პროცესში წარმოშობილი ნარჩენების უტილიზაცია უნდა განხორციელდეს სახელმწიფო ორგანოების მიერ დადგენილი ნარჩენების უტილიზაციის წესების დაცვით ასეთის არსებობის შემთხვევაში. სხვა შემთხვევაში უტილიზაცია უნდა განხორციელდეს იმგვარად, რომ ზიანი არ მიადგეს გარემოს და გარშემო მყოფ პირებს.

2. ნარჩენების შეგროვებაზე და უტილიზაციაზე პასუხისმგებლობა ეკისრება უნივერსიტეტს.

მუხლი 5. უნივერსიტეტის ტერიტორიაზე ნარჩენების შეგროვება

ნარჩენები უნდა შეგროვდეს ორგანიზებულად. ორგანიზებული შეგროვების, დროებითი შენახვის და ტრანსპორტირების სისტემა მოიცავს, რომ ნარჩენი დახარისხდეს, საჭიროების შემთხვევაში გატანილი იქნას სანაგვე კონტეინერებში;

მუხლი 6. სახიფათო ნარჩენების დროებითი შენახვა

უნივერსიტეტის ტერიტორიაზე სპეციალურად გამოყოფილ კონტეინერებში, ხოლო არასახიფათო (უსაფრთხო) ნარჩენები შეიძლება განთავსდეს მუნიციპალური ნარჩენებისათვის განკუთვნილ კონტეინერებში.

მუხლი 7. კონტროლი და პასუხისმგებლობა

ამ წესის მითითებული პირობების კონტროლი ეკისრება უნივერსიტეტის ადმინისტრაციას ხოლო პასუხისმგებლობა შესაძლო შედეგებზე ეკისრება ფინანსურ და მატერიალურ დარგში ბუღალტერს, ფაკულტეტის დეკანს და პროგრამის ხელმძღვანელს.